კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ღია ტიპის სააქციო საზოგადოების შეძენა-შერწყმის დროს

მარიამი რუხაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

,,როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად''

მარიამი რუხაძე

23.06.2025

აბსტრაქტი

დღესდღეობით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) იქცა თანამედროვე კორპორაციული საქმიანობის განუყოფელ ნაწილად, განსაკუთრებით მისი მნიშვნელობა იზრდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება ღია ტიპის სააქციო საზოგადოებას. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მათ აქვთ გამჭირვალობის მაღალი სტანდარტი და შესაბამისად მათზე დაინტერესება დიდია. CSR პასუხისმგებლობა განსაკუთრებით იკვეთება მაშინ, როდესაც კომპანია ერთვება შერწყმისა და შეძენის პროცესში, სადაც ბიზნესს მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის, არამედ საჯარო გამჭვირვალობის, სოციალური ნდობისა და მდგრადი განვითარების კონტექსტშიც უწევს ფუნქციონირება. ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს, რამდენად ეფექტურად იკავებს CSR ადგილს საჯარო კომპანიების შერწყმა-შეძენის სამართლებრივ პროცესში და შეფასდეს CSR-ის იგნორირების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი და რეპუტაციული რისკები. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შედარებითი-სამართლებრივი ანალიზი და დოქტრინული კვლევის მეთოდი, რომლის საფუძველზეც გაანალიზდა სამართლებრივი აქტები და სხვადასხვა იურისდიქციაში არსებული კომპანიების პრაქტიკა. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ CSR უმეტეს შემთხვევაში კვლავ ნებაყოფლობითია და კანონმდებლობის დონეზე მის რეგულირებას ხარვეზები ახასიათებს. ამავდროულად, საზოგადოების მოლოდინი კომპანიებისგან გაატარონ თავიანთ პოლიტიკაში სათანადო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, დღითიდღე უფრო იზრდება. ნაშრომი ასკვნის, რომ საჯარო კომპანიების შერწყმისა და შეძენის დროს CSR-ის სამართლებრივად და სტრატეგიულად გათვალისწინება აუცილებელია მდგრადი კორპორაციული მმართველობისთვის. ისეთი შემძენი კომპანიები კი, რომლებიც არ ითვალისწინებენ სამიზნე კომპანიის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობის ფაქტორს გარიგების დროს და არ ატარებენ სათანადო გამოკვლევას, საბოლოოდ დგებიან დიდი რეპუტაციული რისკის ქვეშ და ხშირ შემთხვევაში გარიგება წაგების მომტანია. დასასრულს, ნაშრომში განხილულია ის გამოწვევები, რაც საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არსებობს და დასახულია რეკომენდაციები რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება CSR-ის ეფექტიანი ინტეგრაცია საჯარო კომპანიების M&A პროცესში.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR), ღია ტიპის სააქციო საზოგადოება, საზოგადოების შეძენა-შერწყმა (M&A), ფილანთროფიული პასუხისმგებლობა, შრომითი უფლებები, ეკოლოგიური პასუხისმგებლობა.

Abstract

Nowadays, corporate social responsibility (CSR) has become an integral part of modern corporate activities, especially its importance is growing when it comes to open joint-stock companies. This is due to the fact that they have a high standard of transparency and, accordingly, interest in them is great. CSR responsibility is especially evident when a company is involved in the merger and acquisition process, where the business has to operate not only in the context of economic efficiency, but also in the context of public transparency, social trust and sustainable development. The aim of the paper is to analyze how effectively CSR takes its place in the legal process of mergers and acquisitions of public companies and to assess the legal and reputational risks arising from ignoring CSR. The research uses a comparative-legal analysis and a doctrinal research method, based on which legal acts and the practice of companies in various jurisdictions were analyzed. The study focuses on the fact that CSR is still voluntary in most cases and its regulation at the legislative level is characterized by gaps. At the same time, public expectations from companies to implement appropriate corporate social responsibility in their policies are increasing day by day. The paper concludes that CSR should be legally and strategically taken into account during mergers and acquisitions of public companies for sustainable corporate governance. Acquiring companies that do not take into account the corporate social responsibility factor of the target company during the transaction and do not conduct proper research ultimately face great reputational risk and in many cases the transaction is a loss. In conclusion, the paper discusses the challenges that exist in the Georgian legal environment and sets out recommendations that will enable the effective integration of CSR in the M&A process of public companies.

Keywords: Corporate Social Responsibility (CSR), open joint-stock company, mergers and acquisitions (M&A), philanthropic responsibility, labor rights, environmental responsibility.